

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №9

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2019 წლის 27 სექტემბერს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:40 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ბესიკი ნარმანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუმი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს მოადგილე - დინარა ხარბედია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენადი ხუხუნი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელები“-ს თავმჯდომარე - მ. შამათავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე - ლაშა კუჭავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა მირცხულავა; საკრებულოს წევრები: თამარი სალაყაია; შაქრო კოკაია; მათა ადამია; ზურაბი სანაია; დინარა ხარბედია; როზმანი ქამადაძე; ბექანი სანაია; ნუკრი მირგატია; დათო ადამია; ელისო ცაგურია; თ. ვაჰანია; ი. ქორიძე; პ. ჯიქიძე; მ. ტორჩინავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: რ. თოდუა; მ. ჯანაშია; ნ. გაბესკირია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედუროსაკითხთადაეთიკისკომისიისთავმჯდომარე - ზ. აფაქიძე

2. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გვერდის დამტკიცების თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

4. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი და ასევე აღნიშნა, რომ ინიცირების წესით დღის წესრიგს მიზანშეწონილია დაემატოს მეხუთე საკითხი: „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ამდენად საკრებულოს სხდომას დღის წესრიგი წარედგინა დასამტკიცებლად შემდეგი სახით:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედუროსაკითხთადაეთიკისკომისიისთავმჯდომარე – ზ. აფაქიძე

2. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

4. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

5. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0;) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოხსენიება: 1. „სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედუროსაკითხთადაეთიკისკომისიის თავმჯდომარე – ზ. აფაქიძე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 28; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის N9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26/07/2019; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.108.016436) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი დანართი №1-ის შესაბამისად“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის, სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის, მე-5 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №90 დადგენილებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 2. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების თაობაზე” .

აზრი გამოთქვას: საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ - ლაშა კუჭავამ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დადგენილი ფასი არ არის მისაღები, ვინაიდან ბევრად უფრო ნაკლები ფართი მეტი ღირს ჭყონდიდელის ქუჩაზე, ვიდრე წარმოდგენილი მიწის ფართი რომელიც მდებარეობს ცენტრალურ მაგისტრალზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ხურციამ განმარტა, რომ წარმოდგენილი ობიექტის გატანა ხდება აუქციონზე და ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება, ამდენად თანხა შეიძლება გაიზარდოს. აქიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ობიექტის აუქციონზე გატანა ხდება კანონის ფარგლებში.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 22; წინააღმდეგი – 6) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების გეგმა დანართის შესაბამისად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილკო გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილკო გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 28; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :**

1. ქ. სენაკში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დამონტაჟდეს საგზაო ნიშნები ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ გზებზე:

ა) ჭავჭავაძის ქუჩაზე, ჭავჭავაძისა და ვაჰანიას ქუჩების კვეთასთან N 4.1.5. „მოძრაობა პირდაპირ ან მარცხნივ - 1 ცალი;

- ბ) რუსთაველის ქუჩაზე, რუსთაველისა და კოსტავას ქუჩების კვეთასთან N 4.1.4 „მოდრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ - 1 ცალი;
- გ) რუსთაველის ქუჩაზე, რუსთაველისა და წმინდა ნინოს ქუჩების კვეთასთან N 4.1.5 „მოდრაობა პირდაპირ ან მარცხნივ - 1 ცალი;
- დ) ვაჰანიას ქუჩაზე, ვაჰანიასა და რუსთაველის ქუჩების კვეთასთან N 4.1.5. „მოდრაობა პირდაპირ ან მარცხნივ - 1 ცალი;
- ე) რუსთაველის ქუჩაზე, რუსთაველისა და ჯორჯაძის ქუჩების კვეთასთან N 4.1.4 „მოდრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ“ – 1 ცალი;
- ვ) ქურდოვანიძის ქუჩაზე, ქურდოვანიძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთასთან N 4.1.4. „მოდრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ - 1 ცალი;
- ზ) ქურდოვანიძის ქუჩაზე, ქურდოვანიძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთასთან N 4.1.5. „მოდრაობა პირდაპირ ან მარცხნივ - 1 ცალი;
- თ) ავ. წერეთლის ქუჩაზე, ავ. წერეთლისა და რუსთაველის ქუჩების კვეთასთან N 4.1.5 „მოდრაობა პირდაპირ ან მარცხნივ“ – 1 ცალი;
- ი) ავ. წერეთლის ქუჩაზე, ავ. წერეთლისა და რუსთაველის ქუჩების კვეთასთან N 4.1.4 „მოდრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ“ – 1 ცალი;
- კ) ჭავჭავაძის ქუჩაზე, სანაიას ქუჩის კვეთასთან მოძრაობა „პირდაპირ ან მარცხნივ“ N4.1.5. - 1 ცალი.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო - საპატრულო განყოფილებას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 4. სენაკის მუნიციპალიტეტში სარკინიგზო გადასასვლელებზე მოძრაობის დაგეგმვის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტში სარკინიგზო გადასასვლელებზე მოძრაობის დაგეგმვის შესახებ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 28; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :**

1. ხობი - სენაკის კმ. 2229 პკ 3+21 კურორტი მენჯი, სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სარკინიგზოს გადასვლელთან დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

- ა) გ.ღვინჯილიას ქუჩაზე საგზაო ნიშანი 3.13 „სიმაღლის შესზღუდვა 4.5 მ“ - 2 ცალი;
- ბ) გ. ღვინჯილიას ქუჩაზე სარკინიგზო გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უმლაგბაუმო გადასასვლელი“ - 2 ცალი;
- გ) მაჩაბელის ქუჩაზე საგზაო ნიშანი 3.13 „სიმაღლის შესზღუდვა 4.5 მ“ - 1 ცალი;

დ) მაჩაბელის ქუჩაზე სარკინიგზო გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ - 2 ცალი.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულის დევნილთა დასახლებასთან არსებულ სარკინიგზო გადასასვლელთან, კმ3-კვ2+56მ დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

ა) იგორ ნარმანიას ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 3.13 „სიმაღლის შესზლუდვა 4.5 მ“ - 2 ცალი;

ბ) იგორ ნარმანიას ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ - 2 ცალი;

გ) ნაფეტვარიძის ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ - 1 ცალი.

3. ქ. სენაკი, ხორავას ქუჩაზე კმ 2233 პ.კ 2:870 არსებულ სარკინიგზო გადასასვლელთან დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

ა) ხორავას ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 3.13 „სიმაღლის შესზლუდვა 4.5 მ“ - 2 ცალი;

ბ) ხორავას ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.1 „რკინიგზის შლაგზაუმიანი გადასასვლელი“ - 2 ცალი;

გ) შონიას ქუჩაზე რკინიგზის გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.1 „რკინიგზის შლაგზაუმიანი გადასასვლელი“ - 2 ცალი.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებულ სარკინიგზო გადასასვლელთან აგურქარხანა კმ 2237პკ 1+ 62მ დამონტაჟდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სარკინიგზო გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 3.13 „სიმაღლის შესზლუდვა 4.5 მ“ - 2 ცალი;

ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სარკინიგზო გადასასვლელთან საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგზაუმო გადასასვლელი“ - 2 ცალი.

5. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერს; შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამართველოს.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. N 247).

მოისმინეს: 5. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბ. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 28; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს** :

1.დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის №1 შესაბამისად.

2.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი:

მანანა სიორდია